დანართი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის

სამსახურის ანგარიში, 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ, ზედამხედველობის სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან. სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება და სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება.

საანაგარიშო წლის განმავლობაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოთა წარმოების პროექტთან შესაბამისობისა და გეგმა-გრაფიკის დაცვის ზედამხედველობის მიმართულებით და შეადგინა შემდეგი პარამეტრები:

სულ 2023 წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტში **დაფინანსდა 17 275 578 ლარის,** 227 ინფრასტრუქტურული პროექტი.

მ.შ. **რგპფ** ფონდიდან - **30 პროექტი (სულ 44 ლოკაცია)** ჯამური ღირებულებით **5 624 259** ლარი.

სტიქიის ფონდიდან - **49 პროექტი (სულ 55 ლოკაცია)** ჯამური ღირებულებით **2 760 000** ლარი.

სკოლების მცირე რეაბილიტაციის ფონდიდან - 2 პროექტი ჯამური **ღირებულებით 640 282** ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 47 პროექტი ჯამური ღირებულებით **7 478 037** ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 79 პროექტი, ჯამური ღირებულებით **660 000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 113 000 ლარი**, (სულ **773 000** ლარი).

გასული წლების (2021-2023) სოფლის მხარდაჭერის პროგრამებიდან გამოყოფილი თანხის დარჩენილი ეკონომიების აკუმულირებით შესაძლებელი გახდა კულაშის ადმ. ერთეულში მდებარე საჭიდაო დარბაზის ფასადის რეაბილიტაციის და მიმდებარე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება.

სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის დაჯარიმდა 47 შემსრულებელი, **275 640** ლარით.

2023 წლის განვლილ პერიოდში შემოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემული სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების **87 მშენებლობის ნებართვა.**

საპროექტო დოკუმენტაციის მფლობელებს მიეცა შესაბამისი განმარტებები მშენებლობის სანებართვო პირობების დაცვაზე და შესრულებაზე.

2023 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაში მიღებულია 40 სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი, ასევე მიღებული, დამუშავებული, დათვალიერებული და პასუხი არის გაცემული მოქალაქეების 45 სხვადასხვა წერილზე.

კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა 7 (შვიდი) უნებართვო მშენებლობის (ჯარიმის თანხა **16000 ლარი**) და 4 (ოთხი) სანებართვო პირობების დარღვევისათვის (ჯარიმის თანხა **1400 ლარი**) დაჯარიმება, განხორციელდა რამდენიმე უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის შეჩერება და დემონტაჟი.

ჩატარებულია ქ. სამტრედიაში არსებული მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება - გაფრთხილება, რომ არ განახორციელონ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებზე რაიმე სახის მიშენება.

ზედამხედველობის სამსახურის, სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილების მიხედვით ზედამხედველობის სამსახურისთვის დაკისრებული მოვალეობის განხორციელების და კონტროლის მიზნით, განყოფილების თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა. პერიოდული შემოვლის დროს ხდება სანებართვო პირობების დარღვევის გამოვლენა, პრევენცია და საჯარიმო სანქციების გატარება. კერძოდ;

განყოფილების თანამშრომლების მიერ პერმანენტულად ხორციელდება ქალაქის ცენტრალური ნაწილისა და განსაკუთრებით ჭანტურიას ქუჩაზე იმ ბიზნეს სუბიქტების თუ ფიზიკური პირების გაფრთხილება (სიტყვიერად და წერილობით) , რომლებიც სავაჭროდ იყენებენ საერთო სარგებლობის სივრცეებს (ტროტუარებს), რითაც უზღუდავენ მოქალაქეებს ტროტუარზე გადაადგილების საშუალებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გრძელდება გაფრთხილებებისა და მითითებების მიცემა. მითეთებები და გაფრთხილებების მიცემა ასევე ხდება უნებართვოდ განთავსებული სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეპატრონეებზე.

განყოფილების თანამშრომლები ასევე ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლას სამშენებლო და მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების შემთხვევების გამოსავლენად. გამოვლენის შემდეგ ხდება დამნაგვიანებლის გაფრთხილება, მითითებისა და გონივრული ვადის მიცემა დანაგვიანებული ტერიტორიის დასასუფთავებლად.

ასევე განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდება სხვა და სხვა სახის ადმინისტრაციულ დარღვევებსა და მოქალაქეთა მომართვებზე რეაგირება. მათ შორის; სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვო

დაკავებაზე, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებურად შეზღუდვაზე, აკუსტიკური ხმაურის ნორმების დაღვევებზე მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე, მოკვლევის განხორციელება ტექნიკური რეგლამენტის – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების“ მიხედვით.

მოსაკრებლის ადმინისტრირების კუთხით განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა და დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული პირებისა თუ ინდივიდუალური მეწარმეებისათვის სიტყვიერი ინფორმაციის მიწოდება მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების (მოსაკრებლის დავალიანების) შესახებ.

დაიგზავნა წერილები მოსაკრებლის დავალიანების მქონე სუბიექტთან, რისი საშუალებითაც ეცნობა მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების (მოსაკრებლის დავალიანების) შესახებ.

გაიგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება (sms) , მათ ეცნობათ მოსაკრებლის დავალიანების ოდენობა და გაფრთხილებულნი იქნენ დაგროვილი მოსაკრებლის დავალიანების არ გადახდის შემთხვევაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გატარების შესახებ.

ყოველთვიურად მიმდინარეობს მოსაკრებლის გადამხდელთა ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინების (sms) სახით, მათ მიერ გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობის, გადახდის ვადებისა და დავალიანების შესახებ.

მერიის იურიდიულ განყოფილებას გადაეგზავნა სია, იმ იურიდიული პირების და ორგანიზაციების, რომლებსაც მიუხედავად ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებისა არ დაუფარავთ მოსაკრებლის დავალიანება, რათა მათ მიმართ გამოყენებული იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები და მერიის კანონიერი ინტერესების დასაცავად („ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით. ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებული სადაო საკითხთა გადაწყვეტის წესი) მიემართოს სასამართლოს.

გატარებული ღონისძიებების შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი თანხის ფარგლებში (გეგმით 180 000 ლარი) ჩვენი სამსახურის მიერ 2023 წელს ამოღებული იქნა **202 080, 90** ლარი.

2023 წელს სანებართვო პირობების დაცვისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილებაში შემოსულია სულ 87 განცხადება. აღნიშნულ განცხადებებზე რეაგირება მოხდა კანონით დადგენილ ვადებში. ყველა შემოსული წერილი იქნა ინდივიდუალურად განხილული (საჭიროების მიხედვით ობიექტის მისამართზე გასვლით) და შესაბამისი პასუხები მომზადდა წერილებით. სულ სხვადასხვა საკითხებზე წერილებისა და მოხსენებითი ბარათების სახით მომზადდა 254 კორესპონდეცია.